

# ქართული ბუნება

იუმორის გ.  
ჟურნალი

№ 29

„ვინც რა უნდა თქვასო, საღვინემ კი ფქვასო“.



ო. ზოლტარევი.

ო. ზოლტარევი.

შექ. მინასიანცი. გონივრული თქმულება: „ღმერთი თუ გწყალობს, ხატები ვერას დაგაკლებენო.“

# ბ ა ტ ო ნ ე ბ ო !

ახლო მომავალში იუმორისტულ ჟურნალ „ეზმაკის მათრახში“ მოთავსებული იქნება მეტის მეტად საყურადღებო, გასაოცარის ნიჭით და მოხდენით ჩემ მიერ დაწერილი სტატია: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა ათას ცხრაას ხუთმეტი წლის ჩვეულებრივი წლიური კრება.“

წერილში გარკვეული იქნება შემდეგი საყურადღებო კითხვები:

## ნაწილი პირველი

1. ქართული კლუბი, როგორც კულტურულ განმანათლებელი დაწესებულება, თუ ლოტოს სათამაშო ადგილი.

2. კრების გახსნა და მოხსენების წაკითხვა ვარლამ ბურჯანაძის მიერ. რამდენათ შესაფერი ხმა აქვს ბ-ნ ბურჯანაძეს თავის მოაღოების აღსასრულებლად: ბარიტონი, თუ ტენორი.

3. ხმის თანასწორობა.\*) მთავარ დიაკონ სალარიძეს ყველაზე დიდი ხმა აღმოაჩნდა. ხმის თანასწორობა დაირღვა.

4. გიორგი ყაზბეგი, როგორც თავმჯდომარე და მოჭირანხულე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა. რა გვეშველებოდა, თუ გიორგი ყაზბეგს უარეყო კრების თავმჯდომარეობა. სოციალისტი, თუ არა გიორგი ყაზბეგი. ვმირთა მნიშვნელობა ისტორიაში.

5. რას ჰქვია პანთეონი. ვინ უნდა დაიკრძალოს პანთეონში? პეტრე მირიანაშვილი. რა ზომის უნდა იყოს ჩვენი პანთეონი, რომ შიგ დაეტიოს მთელი ქართველობა. საჭიროა თუ არა ქართველ მიცვალებულთა კონცენტრაცია? მოუვლით, თუ ვერა ამდენ მიცვალებულს გაჭივრების დროს? თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება.

6. ეგზარხი პიტრიძე\*\*) (შეიძლება ეს თავი ძლიერ შემოკლდეს, ან სრულიად გადაიდოს უფრო შორეული ნომრისათვის).

\*) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წესდების ძალით ყველა წევრს თანასწორი ხმა უნდა ჰქონდეს.

\*\*) ვაი მისი პირიძე!



7. საბატონო წევრი, მუდმივ ბრივი წევრი, და საწევრო გიორგი გვახავა, რომელმაც ადგინა ქ. შ. წ. კ. გ. ს. წესდებაში მუხლი შესახებ საბატონო წევრთა მიღებისა. არსენ მამულაიშვილი, როგორც ანტიკლერიკალი და არა კლერიკალი.

8. სად შეგიკრიბნეთ? საკითხი ბინის შესახებ ბ-ნი ამალლობელი და მისი ლექცია. ლექცია ამალლობელისა და კლუბის დარბაზი. ამალლობელის ლექცია, როგორც კონკურენტი წერა-კითხვის საზოგადო კრებისა.

9. ხარფუხის კლუბი და დიმიტრი ღუმბაძე სიშორე ხარფუხის კლუბისა ერევნის მოედნიდან ჰავა ხარფუხის კლუბში. ადგილ-მდებარეობა სივრცე დარბაზისა. როგორ გადაწყდა ხარფუხში წასვლა.

## ნაწილი მეორე.

10. მეზი მოწმენდილ ცაზე და ყაზბეგის გადადგომა. თავმჯდომარე ბ-ნი კარიჭაშვილი. დეკლარაცია ახალი თავმჯდომარისა. პირველი იერიში გამგეობისა გ. ყაზბეგზე მიტანილი. მეორე იერიში საზოგადო კრების დებუტაციისა. გიორგი ჩიჩუას სიტყვა საზოგადოთ იერიშების შესახებ.

11. მანეთი, თუ სამი მანეთი. კურსის დაცემა რას ნიშნავს ქალაქის ფული. მანეთიანი გამგეობა. ტრადიციის მომხრენი. ექვსი სამ-სამ მანეთიანი ქართველი. გრიგოლ ბურჭულაძე, როგორც ქართველი ერის კლასიფიკატორი.

12. კენჭის ყრა. რისთვის არ შემოიტანეს სხდომის დარბაზში საარჩევნო ყუთები. ბ-ნი გიორგი ჩიჩუა, როგორც მტერი საარჩევნო ყუთების თავმჯდომარის შორის მჭკრმეტყველობა აღნიშნულ საკითხში და მარცხისაგან თავის დახწვევა.

13. რათ გაიმარჯვეს მანეთიანებმა. რა სახელად დაერქვას ბავშვს, რომელიც არ დაბადებულა. გრიგოლ ბურჭულაძე როგორც საწევრო შემოსავლის შემცირების წინასწარმეტყველი. თედორე კიკვაძე და ყვავის ჩხავილი.

14. აქლემების ჩხუბი და კოზაის ტრადიციული ქართული მუზეუმი და ორი გამგეობა. გამგეობის წევრი გ. ცინცაძე, როგორც მომხსენებელი.

15. შალვა ქარუმიძე, როგორც ეტნოგრაფი. შოთას თქმულება. გრძელი სიტყვა მოკლეთ იტყვის, შაირია ამაღ კარგი. ილია ნაკაშიძე და კოზმან პრუტკაძე. პეტრე გელეიშვილი და პროფ. მეჩნიკოვი. „ფლიუსი“ და სპეციალისტობა

16. შეთანხმება, თუ დათმობის საბჭო. სპირი-  
დონ კედია მწერლობასა და ზებირსიტყვაობაში.  
ჩვენ და თქვენ. საკუთრების პრინციპი და სპ. კე-  
დია რეპლიკა სანდრო შანშიაშვილისა „აჯაფსან-  
დალის“ შესახებ.

17. სამსონ ფირცხალავა, როგორც ორატორი.

18. ვახტანგ ლამბაშიძე.

**ნაწილი მესამე**

თავი 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26 და 27,  
ჯერ არსად არ დაბეჭდილა, თუმცა ჩვენს სიძვე-  
ლის ნაშთებს შეეხება და ამიტომ იძულებული ვართ  
ჯერ-ჯერობით გავჩუმდეთ.

**ნაწილი მეოთხე.**

28. საჭიროა, თუ არა შემოღებულ იქმნას წე-  
რა-კითხვის საზოგადოების სკოლებში განსაკუთრე-  
ბული გაკვეთილი მოკლეთ ლაპარაკის შესახებ.

29. საჭიროა, თუ არა გამოიკიდოს წ. კ კრე-  
ბებზე დიდი წარწერა ინგლისურ თქმულებისა:  
„დრო ფულია.“

30. საჭირო და სასარგებლოა ხათრიანი თავ-  
მჯდომარე თუ არა?

ყოველივე ეს, ზემორე ამისა აღნუსხული გარ-  
კვეული იქნება ჩემს წერილში ზედმიწევნით. ვეც-  
დები წერილი დავასურათო, თუმცა გამოვტყუები  
და მოგახსენებთ, რომ ხატვა ჩემს სპეციალობას  
არ შეადგენს და თუმცა გადაწყვეტილი მქონდა  
შესწავლა სპეციალურათ, მაგრამ კუზმა პროტკოვის  
განცხადების შემდეგ ხელი ავიღე ამ განზრახვაზე.

იმედი მაქვს ქართველი საზოგადოება აღფრთო-  
ვანებით შეეგებება ამ ჩემს დიდებულ წერილს.

ეშმაკი.



**შეშლილი**

ხახა-ხახა-ხახა-ხახა!

ალბათ ჩემი კვალი ნახა,  
კვლით თოვლზე დანაჩენით  
და ბოროტი განაჩენით  
მის სურვილში და წყურვილში  
თურმე სისხლი განეზრახა,  
კვალს შამოპყუა ალბათ სერით,  
ნადირს ჰგავდა ყველაფერით  
ხახა-ხახა!

ბნელში ყოფნა მომეწყინა  
გულმაც აღარ მომიტმინა,  
ბავშიც ხელში გამეყინა,  
მივატოვე ბნელი ბინა,  
შელუღის ხმა რომ შეწყნარდა  
მე იმდენათ გამეხარდა,  
გავბედე და გამოვედი  
იქ გადაწყდა ჩემი ბედი  
- ხახა-ხახა!

მწარე ცნობის მოყვარებით  
ვაყოლებდი თვალსა თუ გულს,  
ჩემს ოჯახს და მთელათ სოფელს  
ცეცხლ-მახვილით ამობუგულს.  
ჩემს გარშემო არვინ იყო  
ძუძუ მწოვარ შვილის გარდა  
და არ მახსოვს მაშინ იგიც  
ხელში რატომ გამივარდა  
ხახა-ხახა!

თურმე ჩემკენ მოჩქაროდა,  
მეკი გვიან დავინახე,  
გავიქეცი, რა ვიხილე  
საშინელი მისი სახე,  
გვიან იყო, რადგან იმან  
ალბათ უმალ დამინახა,  
ურჯულომ და უნამუსომ  
„გესროლიო“ დამიძახა,  
ხახა-ხახა!

არაფერი აღარ. მახსოვს,  
ვიცი შვილის მომერიდა,  
რადგან ტყვია ჩემს ცრემლებთან  
იმის სისხლსაც დამაღვრიდა,

თუმცა ადამიანის ჩვეულებით,  
ვით ღრუბელში ცისა ბადრი,  
მამაკაცთა თვალებიდან  
მიფარავდა ჩემი ჩადრი  
ხახა-ხახა!

უკუ ვაგდე ყველაფერი  
ნამუსი თუ რჯული რწმენა,  
ხელში შვილი შემაცივდა,  
თვალზე ცრემლი, პირში ენა,  
რა მოესწრო ის ჩემს თვალებს,  
ის რა ნახა, ხახა ხახა,  
როგორ დამრღნა კაცთ ნადირმა  
გამაწბილა გამაბახა,  
ხახა-ხახა

რაც გაგვაჩნდა ნაცრათ იქცა,  
შვილიც ამ მთას მივაბარე,  
ნამუსი და რჯულის-წესი  
ჩემი ხელით ავიყარე,  
ხოსიელავ! რაც მე მიყვეს  
შენმა თვალმა რომ არ ნახა,  
გიხაროდეს... მიხარია...  
ხახა ხახა ხახა ხახა  
ხახა-ხახა!

შვილო, შენი შებრალება  
აბა ვის და როგორ ვსთხოვე?!  
რომ არ მახსოვს, რა ვუყავი,  
ნო თუ ვინმეს დაუტოვე?!  
აბა თოვლში გადავმალე?!  
ნუ თუ ისე შემეშინდა,  
რომ დავკარგე შვილი, თავი  
და ყოველი წმინდა-წმინდა?!  
ხახა ხახა-ხახა ხახა-ხახა-ხახა.

სულ ერთია.

გორი  ქართული  
პენსიონი

გორის ხილზე რომ შევდგი ფეხი, ჩამავალი  
მზის სხივები, პოეტების სიტყვით რომ ვსთქვათ,  
უკანასკნელი ნაზი ამბორით ეთხოვებოდნენ ქალაქს...

კოტა არ იყოს, ჩემი მუცლიანი თანამგზავ-  
რის უკანასკნელმა სიტყვებმა ჩამაფიქრა.

— ნუ თუ მართლაც ისე ხშირია აქ სიგიჟე,  
როგორც იმან მითხრა?— ეფიქრობდი მე:— 17 კა-  
ცი ჩემ ნაცნობებში! ისიც მხოლოდ ორი წლის  
განმავლობაში! თუ ეს მართალია, მაშინ გორე-  
ლების 15—20% მაინც შემოიღებები იქნება! არა,  
დიდხანს აქ დარჩენა ყოველად შეუძლებელია: ან  
თავად გაგიჟდები, ან კიდევ რომელიმე შემოიღო  
ქვას გთხოვთ თავში და სულს გაგადებინებს!

გადავწყვიტე, მხოლოდ ღამე გამეთია გორში  
და დილის 7<sup>1/2</sup> საათის მატარებლით ისევ თბილისს  
გამოვბრუნებულიყავი.

იძულებული ვაგზდი, ისევ რომელიმე სასტუმ-  
როში მომენახა ბინა. დაუძახე ჩემ ბედზე მომავალ  
ცარიელ ეტლს და ჩავჯექი.

— სად მიბრძანდები?— მკითხა მეეტლემ.

— წამიყვანე რომელიმე სასტუმროში.

მეეტლემ მოატრიალა და შემიყვანა იქვე,  
ეზოში, რომლის წინაც ვიდექი, როცა ეტლს და-  
ვუძახე.

— სად მიგყვარ?

— მივედით კიდევ, ბატონო!— გამომიცხადა  
მან და გამაჩერა ხის ორ სართულიან სახლის წინ,  
რომელიც სადღაც ეზოს კუნჭულში იყო აშენე-  
ბული.

— კაცო, აქ ეტლი რათ მინდოდა?— გაგიკ-  
ვირვე მე.

— რა ვიცი, ბატონო: ჩაბრძანდით კია და!

— მერე, მეტყობდი, შე კაი კაცო, თუ სას-  
ტუმროს წინ ვიდექი და ამ ორ ნაბიჯს ფეხით  
გამოვიარდი.

— ეჰ, ბატონო, ეხლა რაღა დროსია! მიბო-  
ძეთ ფული, მეჩქარება!

— რამდენი გერგება?

— ერთი „კანცის“ ბატონო, ორი აბაზი!

— როგორ? თითო ნაბიჯი თითო აბაზი? გიჟი  
ხომ არა ხარ?

— გიჟი რათ ვიქნები? მე გიჟი არ ვაზლავარ  
და თქვენი კი არ ვიცი.

მაგრამ სად თქმულა: ჯალათმა  
ტანჯვა და ცრემლი იწამოს?

დღითი დღე მუხრუქს უჭერდა,  
და სჩხვლეტდა საჩეჩელითა,  
დაღებს ასვამდა სხეულზე  
მხურვალე შანთით, მწველითა.

—

კვლავ შეიცვალა დროება.  
დათუნას მტერი დაეცა.  
ქალი მოსტაცა და მასთან  
დღეც დააყენა მწარეცა.

გონს რო მოვიდა დათუნა  
მოჰკრიბა მყისვე შეიღები  
(პოლინკას ტანჯვა-თრევაში  
ნაწრთობი, გამოცდილები).

და მძიმე თათბირს შეუდგა  
ბრიყვი უხეში ძალისა:

— როგორ მოაწყოს ცხოვრება  
განატაცები ქალისა.

წითელი კაბა დაჰპირდა,  
ქოშები ოქრო-მკერდისა  
თავისუფალი ცხოვრება,  
ენა მშობელი დედისა.

დაჰპირდა ბალი ედემის,  
შიგ წყარო, კოშკი ბროლისა,  
ია და ვარდი სურნელი,  
ძირს ნოხი მწვანე მოლისა.

ვინ იცის რა არ აღუთქვა  
რა ხარჯი მან არ გაბედა:  
მაგრამ რათ უნდა პოლინკას  
„გარჩილა პოსლე აბედა?!“

ეშმაკი.



# ჰაეროპლანით მოგსაქვრება

(უმჯობესო ტექნიკით გადმოცემული მოხსენება).

(დასასრული)

და აი, როგორც შენი მამაკურ შტაბის ერთი  
წევრთაგანი, გაწვდი მოხსენებას პირველი დღის  
შესახებ.

იმის მოლოდინე, რომ შენ მიერ ახლათ და-  
ნიშნულ „მათრახის კუდის“ ერთ-ერთ ხარისხს  
მაინც დავისახურებ (სირცხვილია ამ ქამათ უჯილ-  
დოთ სიარული, ყველას გულზე აკერია) მე ვიწყებ  
ჩემ „საგმირო საქმეთა“ აღნუსხვას.

გამზადილ-შეკაზმულ ჰაეროპლანს მოვაჯექი.  
ჩემი „შე-ვარდენი“ თვალის დახამამებაზე ცივს სი-  
ვრცეში მიიმალა. ცოტა არ იყოს გული შემეცან-  
ცალდა, მაგრამ დედამიწაზე სიარულს ისევ იქ  
ყოფნა ვამჯობინე. მწრათლ ვშორდებოდი ვეება  
ქალაქებს, სოფლებს, შენობებს, ტყე-მინდორ-ვე-  
ლებს, რომელთაც ოდნავ ვარჩევდი და ყოველივე  
ეს მალდიდან მღსჩანდა „პირველყოფილ ხოსათ“  
ნაქნარი. აქა-იქ ვისვენებდი, ძირს დავეშვებოდი  
ან და საყუდარს ვპოულობდი ვეებერთელა შენო-  
ბების ვეება ბუხრებზე, რომელნიც ერთ დროს  
მშვენიერსა და მათრობელსა რამ სასმელსა ამზა-  
დებდენ, ხოლო ამ ქამათ უმოქმედოთ მდგომარე.  
ხილულთა უნახაობა იქ იყო ჩემთვის უზრუნველ-  
ყოფილი. შუა დღეს გადაშორდა, ჩვენის პოეტე-  
ბის მიერ „შეზარებულ“ დღის გუშაგი-მნათობი  
შეწუხებული დღისა სიცხადით დასამალავათ მიილ-  
ტვოდა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა  
ოდეს დამის წყვდიადი ჩამოეშვებოდა წყეულ დე-  
დამიწას.

როდესაც მცირეოდენათ შევსცილდი ერთი  
სახელმწიფოს საზღვარს თვალ-წინ საუცხოვო სუ-  
რათი გადამეშალა: ხელოვნურათ, ეშმაკურათ გა-  
ნათებული ცა, ზარბაზნების გრიალი, თოფების  
სროლა, საშინელი კვილი, მწარე ყვირილი და  
საოცარი მოთქმა მომესმა. გავშეშდი, ფრენას ვუ-  
კელი.... რამოდენიმეთ ძირს დავეშვი. საკვირველი  
რამ იყო: გახელებულნი, კრეთ წოდებული „მი-  
წის შვილნი“,

ყველა ერთნაირი, მოძმენი ერთმანეთს და-  
რეოდენ და მუსრს ავლებდენ. განცვირფებით გუ-  
ლი წამივიდა. თავი ვიმაგრე. გავძამადი. ერთგვა-  
რი ფორმის მიწის შვილნი სულ აქეთ მორბოდენ,  
საიდანაც მე მოვფრინდი, ხოლო მათ უკან ღრიან-

ცელით მოსდევდენ მბრწყინვალე თავიანი შეიარაღებულები. ერთმანეთს ხოცდენ: ტყვიით, იარაღით, კბილებით, ფრჩხილებით და რითაც შეიძლება. შემეცინა, სიხარულს მივეცი თავი, რომ „იმავე მიწისთვის იბრძვიან, რომელსაც დღეს თუ ხვალ თვითვე შეუერთდებიან“. „რა არის მათი სიცოცხლე, თუ არ საწყაული აღუვსებელი“-მეთქი გავიფიქრე გულში.

ამ ვეება გაცოფებულ ჯარის უკან იდგენ უიარაღონი, რომელთაც ჯიბეში, უბეში, კალთაში რაღაც ნივთები მიქონდათ და ქურდულათ სადღაც გზავნიდენ.

მაპატივე, მაგრამ ამ პირველათ ვერაფერი ვერ გავიგე, ახლოს ვერ დაფუკვირდი; თუმცა ვსცადე ძირს ჩამოშვება, მაგრამ კინაღამ მსხვერპლი გავხთი საკუთარი ცნობისმოყვარეობისა. ოდეს ჩემ გვერდით ცა დაინგრა, იგრიალა რაღაც ბურთის მაგვარმა ვეება მასალამ, ჩემი „შე-ვარდენი“ იმგვარათ შეფხუკიანდა, რომ იძულებული გავხთი მსწრაფლ მომეკურცხლა განვლილ გზისაკენ საყუდარის საშოვნელათ. გზა-გზათ წითელი დეღეები, ტბები და მდინარეები მხთებოდა; ახირებულ მხარეს ვესტუმრე: წყალს ფეჭა ქონდა. როგორც შემდეგ გავიგე ეს ყოფილა ომი, და თუ მეტს ვერას გწერ ამ „წითელი სიცილის“ შესახებ, ბრალი გამოუცთელობაა ჩემი; შემდგომათ უფრო ყოჩაღათ ვიქნები.

გამოვეშურე რა აქეთ, მოვეუახლოვედი სახელ შეცვლილ ქალაქს და ზევიდან შევეძიე. მიწყნარებული, უაღამიანო, უსიცოცხლო და ოხრათ მიტოვებული შენობები, რომელნიც, როგორც ზევით ვსტყვი, უწინ მშვენიერსა სასმელსა ხთიდა ხოლმე. მსურდა იქ დამესვენა, ბინა მეშოვნა, რადგან ვიცოდი, რომ იქ არავენ არ მომაკვლევდა. ამოვიღე მიზანში ამგვარი უზარმაზარი შენობა და ძირს დავეშვი. საოცარი ამბავი შემეყარა: შორიდან მაღალ ბუხრათ მოჩვენებული მილი შუშის აზნექილი ჭერი გამოდგა და ზედ ამ შუშის ჭერზე მოვადინე ხეთქა. ცოტა შევეფიქრიანდი; არაყის ქარხანას რამდენიმეთ არ ჩამოგავდა, თუმცა განსხვავებაც დიდი არ იყო, მაგრამ მან გამაცვიფრა, რომ ყარაულები იდგა ყველა გამოსასვლელთან. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა. შუშის ჭერიდან დაბლა ჩავიჭვრიტე: ერთ უზარმაზარ დარბაზში მხოლოდ საჯდომი სკამები იყო ჩამწყრივებული. ზედ ათასგვარი ქალაღები ეწყა. სრული სიწყნარე. მდუმარება. ხოლო აქა-იქ ჭერში, კედლებზე

ნიშნები იყო იმისა, რომ ერთ დღეს იქ აფრთხილდნენ უაზრო, უთავბოლო ლაყბობისაგან. მათი ჩინი ქმეა ყენებოდა. სიცოცლის ნასახი არა სჩანდა, ხოლო აქა იქ დაწყევლილი იმერული ვირთხები დაძვრებოდენ და იქ დასაყადებულ წიგნებს შეექცეოდენ, რომელსაც როგორც გავარჩიე „კანონ-პროექტები“ ეწერა სათაურათ.

საშინლათ მომესურვა შიგ გაძრომა, მაგრამ უნდა გამოგიტყდე ვირთხები ჭირივით მეზარებიან. ჩვენებური თავუნები რომ ყოფილიყო, იცოცხლე, შე იქ ჩავძვრებოდი, მაგრამ ვირთხებმა შემაფიქრიანა. გადავსწყვიტე შემდეგისთვის შემენახა თავი, ძალა და მივატოვე ამ საკვირველ შენობას თავი და ნაცნობ ადგილს მივესადგურე.

დედამიწის ოღნავ შეზნელება დაეტყო. თუმცა შავ ლამეს ვერ შევესწარი.

თუ დღე და ღამე აქ გავარჩიე—შევეცდები კვლავ აფფრინდე და შესაფერი მოხსენება მოგაწვდინო, მძახებლო, ნახულ-გაგონილის შესახებ ამ ჟამათ ეხ იკმარე.

დიდი სურვილი მაქვს მაქეთ გადმოფრენის, ვაცი საზვერავი მასალა მაქაც ბევრია, მაგრამ გულს ეშინია, მაქ, როგორც ამაში ქებურთის ფრენამ დამარწმუნა, სხვა ჰაერია, ქვევიდან ასულ „მახრჩობელ გაზებისაგან“ შეზავებული. მე გული სუსტი მაქვს, ვიკრძალვი კისერი ვიღრძო. თანაც მაქაური დიდ ქალაქის სახელი შიშსა მგვრის: თუ რუსულათ ვიტყვით ტიფ-ჯისი იქნება, მე კი ტიფს ვერიდები. თუ ძლიერ გავრცელებულია - და ქართულათ კი თფილისი ეწოდება, ვიცი მისი წარმოშობის ისტორია: ოდეს ვახტანგი (ახლანდელი არ გეგონოთ) სანადიროთ გავიდა მიმინო დაეჭრჩვა იქ მდებარე ტბის აღუღებულ წყალში, სადაც ახლა თფილისი მდებარეობს. და ვაი თუ მეც ჩავარდე და დავიღუპო. ტბაში თუ არა ტალახში ხომ მაინც და მე კი ჯერ-ჯერობით სიცოცხლე არ მომბეზრებია, სიცოცხლე ტკბილია, საამო. ნურას უკაცრავათ თუ დაუსაქმებლათ მაქეთ არ გიახლოთ; თუნდაც ზეცაში მომიწიოს მოგზაურობა... .. მაქ შეჩულებმა, დეე, თვით იმოქმედონ!

თქვენი მორჩილი, შტაბის წევრი ეშმაკუნა სერ-ჯორჯი.





# მამა გიორგი.

(ფოთა).

სამხედრო ტაძრის სულიერ მოძღვარს,  
 ღვთის მადიდებელს და მლოცველს ერის,  
 სამწყოსა შინა და მრევლსა ზედა  
 ღვაწლი მიუძღვის მას „მრავალ ფერის“.  
 „სასულიერო“ ჯაფა და შრომა,  
 იმისი სრულათ რომ აღვიაროთ,  
 აქ დეკანოზი თოთიბაძე და  
 საკურთხე თედოც რომ დავიბაროთ  
 ქურუმსა ამას ვერ შეისწავლის,  
 ესე ვითარი გამოძიება,  
 რამეთუ მოძღვარს სჭირს სულიერი  
 და ზნეობრივიც ცხელებ-ციება.  
 მე მხოლოდ იმას მოგახსენებდით,  
 რაც მოვისმინე და თვალით ვნახე,  
 „ადამის მაცდურს“ რომ დაეგლიჯა  
 მამა გიორგის „ღვთიური“ სახე.  
 მას მოაცილეს გრძელი და თეთრი,  
 საბლადოჩინო უღვაშ-წვერები;  
 ნიკაპი უჩანს ღენერალივით  
 (ეგას ბრჭყალებით „მონაფერები“).  
 თუმც შერჩენია ყბებზე ცოტ-ცოტა,  
 სამხედრო წესზე ორსავე მხარეს\*)  
 მარა ხუცებმა რა ნახეს იგი,  
 თვალეებზე ხელი გადაიფარეს.  
 საბრალო მოძღვრის თავსა და კბილებს  
 ჯოხითაც უყო ევამ ზიანი;  
 მოზავეთ იყო ხმასანი ღუტუ,  
 მარა გამოდგა ის ხელგვიანი,  
 „სამოთხის ევამ“ მამა გიორგი  
 სანამ ქუჩაზე არ გააგორა,  
 თმა და წვერიდან სანამ გასკლიდა,  
 მანამდე ღუტუმც ვერ მოაშორა.  
 საპოლიციო ნაწილთან მოხთა  
 „სასულიერო“ ესე რა სცენა,  
 სახტად დარჩენილ დარაჯებს თურმე  
 და ბოქაულსაც (მოგეცათ ლხენა)  
 სიცილით სულიც გადაჰკმეოდა,  
 ხელის შეხებაც ვერ გაებდა,  
 თუმცა მოძღვარმა სუყველას ერთად  
 ავინა თურმე ცოლი და დედა.  
 მკითხველი ალბათ იფიქრებს ესლა,

„სამხეთოა“ რამე მიზეზი ამის:  
 „ან დრამა ფული კი იქნებოდა,  
 ან მაღა კადევ საკურთხის კამის“.  
 მარა შეცდებით. მამა გიორგიმ  
 მეუღლის სული რა განუტევა  
 (ვით ადამის ტომს ქვრივსა და ოხერს)  
 „შემოეპარა მაცდური ევა“.  
 ღვდელს აკრძალული ხილი აქამა,  
 აუხილა რა ცოდვილი თვალი,  
 მათ განიცადეს ხორცთა სიშიშველე  
 და უკუღმართი საწუთროს ვალი,  
 ღვდელმა უჩრია თვის მაცდურ ევას:  
 „სოფელში წადი, გამეცალეო,  
 ზაფხულში იქ სჯობს მე კი მარტოკა  
 ღმერთის ვედრება დამაცალეო“.  
 ევას ეგონა: მამა გიორგი  
 ჩემზე ირჯება წმინდის გულითო,  
 უთხრა: „კი წავალ თუ გამისტუმრებ  
 ზაფხულს საყოფი ხარჯის ფულითო“.  
 აღსრულდა მოძღვრის გულის წადილი:  
 ევა წავიდა სააგარაკოთ  
 და შემდეგ გაჩნდა ახალი ევა,  
 საქმეც გახადა სალაპარაკოთ.  
 თურმე მოძღვარმა თავის სახლიდან  
 ევა პირველი რომ მოიშორა,  
 შინ მოიყვანა მეორე ევა  
 და „სულის“ საქმეც გამოისწორა.  
 აგი შეიტყო ევამ პირველმა,  
 დრო შეურჩია, მივიდა ღამით.  
 „მოძღვარ-მოწაფეს“ „უფლის ვედრება“  
 არ დააცალა არც ერთი წამით.  
 ჯოხ მომართული პირველი ევა  
 მისმა კურთხევამ რომ დაინახა  
 ძირს დაუვარდა მას კურთხევანი,  
 თმებიც აუდგა, გაუშრა ხახა,  
 მარა მომხდურმა „ალალ მლოცველებს“  
 ამდენი ფიქრიც აღარ აცალა,  
 თავში და პირში ქვაი და ჯოხი,  
 ხელში რაც ჰქონდა სულ დააცალა.  
 შექნა ყვირილი, მოცვივდა ხალხი,  
 წაასხეს ყველა პოლიციაში.  
 თავ გახეთქილი ორი ეწერა  
 საბრალდებულო ოქმის სიაში.  
 იქ ბოქაულიც ბევრი აცინა,  
 მამა გიორგიმ ღაღად ჰყო რაცა  
 და ევამ კიდევ განმეორებით  
 იქვე წვერებში ხელები სტაცა,

\*) ალბათ იმიტომ, ამ მოძღვარს ესლა  
 „ვინი ცერკვი“ რომ ჩააბარეს.



რომ დაითრია „ხილკოვის“ ქუჩით ამის მოწმეა დუტუ და სხვები, რომ პანტა-პუნტათ გაჰქონდა ნიავს მოძღვარის წვერი და თეთრი თმები.

ბუტუნა.

# უკაცობა და ჩემი გასაჭირი.

(აღსარება)

უკაცობამ და კაცის გვალვამ ერთი თანამდებობა მარგუნა წილად— მიმიწვიეს ერთი ქართული გაზეთის მახლობელ თანამშრომლად. ჩამბარეს ერთი განყოფილება „პროვინციის ცხოვრება“. ზოგჯერ მე თვით მიმიწოდებია რედაქციისათვის პროვინციიდან საგაზეთო მასალა და ამიტომ ჩემი თანამდებობის ასრულება ძნელი არ მეგონა, მაგრამ აღრე დავრწმუნდი, რომ დაუძლეველ საქმეს წავეპოტინე.

ასეა! უცოლოს ყველა ცოლიანი ბედნიერი გონია, მაგრამ როცა „სჯულიერი“ ცოლისაგან უსჯულო დეზები მოხვდება, მხოლოდ მერე მიხვდება რა ბედნიერება ყოფილა მისთვის უცოლობა.

შევუღდექი საქმეს. რედაქციის სახელზე მოწერილი წერილი მე უნდა გამეხსნა, წამეკითხა და ამომერჩია საკბილო. თქვენ ეგ საქმე აღვილი გეგონებათ, მაგრამ აბა ერთი სცადეთ და დღეში გადაათვალიერეთ სხვა და სხვა ხელით ნაწერი სხვა და სხვა სქესის, სხვა და სხვა აზრის, სხვა და სხვა წოდების, სხვა და ტვინის ნაწარმოები 50—60 წერილი.

ყველა წერილს თან ახლავს კიდევ სარედაქციო წერილი, რომლითაც პატივცემულნი ავტორები იწერებიან:

„ბ-ნო რედაქტორო, (უფრო ხშირათ ბატონო რედაქციავ!) გიგზავნი ამასთანავე წერილს, არ იფიქროთ, მარტო ჩემის დავალებით, არა მე ამას მავალებს მთელი საზოგადოება, რომელიც კორესპონდენტის მხრით ძალიან ჩამორჩენილია და მინდა მე ეს ნაკლი შევამსო. მართალია ნაჩქარევათ ვწერ მაგრამ ფაქტი ნამდვილია, მარა რადგან ნაჩქარევათ ნაწერია კორექტურა უსათუოდ იქნება შით და გაძღვეთ ნებას გაასწოროთ. სხვაფერ კი უკლებლივ დაიბეჭდოს მაშინათვე, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ფსევდონიმი იქნება: ხვარამზეს ნათლული, ელიტის დანიშნული, უშიშარი, შეუპოვარი, დენილი, დასჯილი, მედგარი, რისხვა, დარაჯი, სიმართლას მოყვარული, ელისაბედოვილი და სხვა.

შეუღდეგები ახლა წერილების კითხვას. ყველა წერილი თითქმის ერთი შაბლონით იწყება:

„ამ უმაგალითო იმპა, ამ საშინელომ სისხლის ღვრამ,

ამ ჯერ არვისგან არ გავონილმა ძმათა ქვეტამ ყოველ კუთხით ზარბაზნების გრიალმა, თოფების ტავარტაობა ყველაფერს თავისი საშინელი დალი დაასვა. ამ უმაგალითო ომისა და ამ საშინელი ზარბაზნების ღრიალმა და ამ არავისგან გავონილმა და ამ არავისგან ნახულმა და ამ არავისგან ჯერ არ მოსწრებულმა ბრძოლამ თავისი გაღუშული დალი დაასვა ჩვენს უბანსაც და ამ ყოვლად დაუნდობელმა ვანამ არ დატოვა თავის მკაცრი ბრტყალების გაუქრავი არც ჩვენი სოფელი და სხ.

კიდევ კარგი, თქვენი ქირი წაუღია, სხვა წერილებსაც თუ კი სხვა წერილებიც სხვა და სხვა შინაარსის მიხედვით იქნება, მაგრამ ჩემი უბედურებაც იმაში იყო, რომ წერილების უმეტესობა ერთი და იგივე შინაარსის არის, მხოლოდ სხვა და სხვა ავტორს ეკუთვნის. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი გარემოება: ერთ დღეს მივიღე ერთი შემთხვევის შესახებ სხვა და სხვა პირისაგან ოთხი წერილი. მოიხმინეთ თვით წერილების ასლი. წერილი პირველი:

„ამა 1915 წელსა, ამა თვის ესე იგი მაისის 24 დღესა, სოფელ ხრიკიანში მუშაობდენ ყანაში ერთი აზნაური და ერთი გლეხი, რომელსაც წვიმამ უსწრო და მახლობელ თხმელაის ძირში შეიყუდრეს. უცბათ გავარდა მენი და ერთი აზნაური ბარაქაძე იქვე შეიქნა ტრალიკული სიკვდილის მსხვერპლი, მეორე კი ძალუანი დაშავებულია და თუ დარჩება არ გვგონია“.

აკაკი ნენეისშვილი.

„ქ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ეს ნამდვილი ამბავი აღრე და უცვლელათ დამიბეჭდოთ—კორექტურა გაასწოროთ სხვას ხელს ნუ ახლებთ.

## წერილი მეორე

დრამა ყანაში.

„ჩვენ სოფელში, რომელსაც ხრიოკეთი ქვია 24 ამ წლის მაისს მდინარის პირათ მდებარე ყანაში საშიშარი გულშემზარავი დრამა დატრიალდა. წვიმის დროს ყანაში თავი შეფარა მუხის ქვეშ სიმინდის მმარგლეღმა აზნაურმა ბარაქაძემ და გლეხმა ოფლაძემ, გავარდა მენი და პირველი მოკლა, მეორეს ენა აქვს ჩავარდნილი. ამ საშიშარი ომის და სისხლის ღვრისა და უმბადობის დროს, რაღა ეგ დრამა იყო საჭირო, მაგრამ უბედურ კაცს ქვია აღმართში მიეწვევა. საჭიროა ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს, რათა შემდეგში კიდევ არ განმეორდეს ასეთი გულშემზარავი დრამა.


კაიგაკხის მეკობარი.

## წერილი მესამე.

უვიტობის მსხვერპლი.

ჩვენ ხალხს ბუნების მოვლენის ცოდნა აკლია და თუ ეს ასე არ იყოს ისეთი საშიშარი სურათის მნახველი არ ვიქნებოდით, როგორც ვნახეთ ამ წლის 24 მაისს დღით ოთხშაბათს. ნაშუადღევს ოთხ საათზე მთელი სოფელი ხრიოკეთი კვილმა, კიოდენ ქალები, შეაწრიალა. გამოირკვა, რომ კვილის მიზეზი ყოფილა მენი, რომელიც დასცემია ყანაში მომუშავე აზნაურ ბარაქაძეს და მის მეზობელ გლეხს ოფლა-

# აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზი.



სარტყელი მარცხენა მხრივ (უფრო ფართე) წარმოადგენს ბრძოლის ხაზს 26 აპრილს. მეორე, მარჯვნივ გაყვანილი ცოტა უფრო წვრილი სარტყელი წარმოადგენს დღევანდელ ბრძოლის ხაზს.

# კორესპონდენტის ბედნიერი

(ის „ქმეჯის მათრახი“ № 10).

## VIII.

პეტრე, ნესტორი და მურზაყანი

**მურზაყანი.** (შემოდის შრისხანედ და პეტრეს მიუახლოვდება) არა, როგორ გაბედეთ თქვენ ჩემი გვარის შეურაცყოფა?

**ნესტორი.** (გვერდზე) ვაი საწყალო პეტრე ეხლა კი გამოგავა წირვა.

**მურზაყანი.** არა, როგორ გაბედეთ თქვენ და შეურაცყოფა მიაყენეთ ჩემს ძმისწულს?

**პეტრე.** ვის ბატონო, მე არ მესმის!

**მურზაყანი.** ვის და ჩემს ძმისწულს, კნიაჟნა მარუსიას.

**პეტრე.** რა გინდათ, ბ. ჩემგან?

**მურზაყანი.** როგორ თუ რა მინდა, შე მაწანწალავ შენა! არა, როგორ გაბედე შენ ჩემი ძმისწულის ვახეთში ჩაგდება?

**პეტრე.** არ ჩამიგდია, ბატონო, და არც ვიცი მაგის შესახებ არაფერი.

**მურზაყანი.** შენ იქნება სოფლის ვიგინდარა გგონია, რომ რაც გინდა ისა სჩამხო და სჯღაბხო კნიაჟნა მარუსიაზე! არა, როგორ გაბედე მეთქი!

**პეტრე.** მე არაფერი დამიწერია, ბატონო!

**მურზაყანი.** (ამოიღებს უბიდან გაზეთს და პეტრეს თვალებში მარტყამს) მაშ ეს ვისი დაწერილია, შე მჯღაბნელო, შენა!

**ნესტორი.** ბატონო, მურზაყან, თქვენ აღელვებული ბრძანდებით და დაწყნარდით გეთაყვა. ჯერ გაიგეთ დანამდვილებით და თუ მართლა ამ კაცის დაწერილია, მერე დასაჯეთ.

**მურზაყანი.** მე უკვე ვიცი ყველაფერი დაწერილებით. პეტრუხა, ეფროსინე, მანუჩარი და ერთი სიტყვით ყველა ამ ვაჟბატონისაგან ყოფილა გალანძღული. მე პეტრუხამ მიაგებო ყველაფერი.

**პეტრე.** ტყუილია ბ. მურზაყან.

**მურზაყანი.** როგორ თუ ტყუილია! მატყუარა და ცრუ შენა ხარ შე ავაზაკო შენა! (ძაღვის ადგებულებით).

**ნესტორი.** დაწყნარდით, ბატონო მურზაყან.

**პეტრე.** კიდევაც რომ დამეწეროს კნიაჟნას შესახებ, ვითომ რა არის აქ გასაჯავრებელი. ვახეთში სწერენ ყველა დიდი პირებისა და საქვეყნო ადამიანის შესახებ.

**მურზაყანი.** (გამხეცებულ მივარდება პეტრეს და

ძეს, რომელთაც არ სცოდნიათ, რომ ქექა-ქუხილის დროს ხის ქვეშ ყოფნა არ ვარა, იგინებს კი შეუწყურებიათ დიდი ნიგვზის ქვეშ. მეხის ერთი მსხვერპლი იქვე ედო გაშავებული, მეორეს ხელ-ფეხი აქვს დაკავებული. ოხ ღმერთო ჩემო, როდის ისწავლის ჩვენი ხალხი ჭკუას და როის შეიგნებს, რომ ბუნების მოვლენას მიერიდოს.

### ტანჯულის შვილი.

#### წერილი მეოთხე.

ბუნებაც გაგვიარისსდა. (წერილი სწავლიდან)

იმ დროს, როცა ბრძოლის ველზე ხარბაზნებს გააქვს გრიალი და ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა სისხლიდან იცლებოდა, ამ დროს აღანიანის სისასტიკეს და გაუტანლობას ბუნებაც შეეჯიბრება და ცდილობს სოფელში დარჩენილი ყანის მუშები შეუბრალელობათ დაეპოვოს. რომ ეს ფაქტია ამისი მაგალითი. 24 მაისს სამშაბათს, ცა მოიღრუბლა, დაუშვა საშინელი წვიმა და მას მოყვა ჰაერში ქექა-ქუხილი. საწყალო ყანის მუშებმა მიაშურეს ყანაში მდგარ დიდ კოპიტის ხეს. გავარდნილი მეხი დაეცა კოპიტს და ერთი ქვეშ მყოფი ახ. ბარაქაძე მოკლა ხოლო მეორე გლეხი პოლიკარპე ოფლაძე, საშინლათ დაასახიჩრა. როდის ეღიროება საწყალო კაცს მოსვენება! მის ტანჯვას დასასრული არ აქვს.

#### ამიანნი მიჯაჭული.

ყველა ითხოვს დაუყოვნებლივ და უცვლელათ დაიბეჭდოს. ცხადია ყველას უნდა მისი ფსევდონიმი ვახეთში ნახოს. ყველას თავისი სარჩული აქვს. ეს დრო მეც გამომიცდია. იქნებ ეს ამიანნი სიყვარულის ჯაჭვით არის დაბმული და თავის სატრფოს, ვიდრე წერილს გამოგზავნიდა კიდევ წაუკითხა. რას იზამ ერთი და იგივე ხუთმა გამოგზავნა, ხუთივე დაგემდურება თუ არ დაბეჭდვ. ხუთში ერთს მოიმაღლიერებდი ძაინც, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ამბავი ხრიკეთიდან ჩამოსულ მგზავრს უკვე უამბია ჩვენი ვახეთის რეპარტიორისათვის და როცა ეს წერილები სერია მივიღეთ, ეს ამბავი უკვე დასტამბული იყო. მოდი შენ ნახე აქ სამშვიდობო გზა... გადის ერთი კვირა და ატყდება საყვედურის წერილების „ბამბანდროგვა“. მიიღებ 4-5 თითქმის ერთ და იგივე შინაარსის წერილს: „ბნა რედაქტორა! შე ამას წინათ გამოგზავნე დასაბეჭდათ წერილი იმ საზიზღარი შეუბრალებელი მუხისა, რომელმაც ორი ცოდვითაგან კაცო იმ სხვაგვარა კთხოვთ მიმასუსთო გაზეთის ფოსტით რისთვის არ სცანით დიხსათ დაბეჭდვისა ჩემი წერილი. რათ მიგდებთ აბუხათ ბატონო რედაქტორა, თუ შეტ ბატონს არ სცემთ თქვენს მკითხველს და თანამშრომელს, მაშინ შე სულ აღარ შეგაწუხებთ, მაგრამ ავი არ იქნება კია. კთხოჲ დაუყოვნებლივ მიმასუსთო.“

დავშთები პატივისცემით იაგორ ჩიბურდანიძე. (ფსევდონიმი აკაკი ნენისშვილი).

ვაი ჩემს დღეს! არ ვიცი რა ვქნა და რითი ავიშორო თავიდან პროვინციელთა რისხვა.

(დასასრული იქნება).

#### მგონი მიცნობთ.



უნდა სილა შემოკრას) როგორ თუ საქვეყნო, ვინ არის საქვეყნო! საქვეყნო და გათახსირებული შენა ხარ, შე გაბრწინლო შენა!

**ნესტორი.** (შუაში ჩაგარდებს) ბატონო მურზაყან, დაწყნარდით, აბა რა საკადრისია!

**მურზაყანი.** შუაზედ გავაპობ მაგ არამზადას, მაგას (შიაწვეს ჰეტრეზე).

**პეტრე.** გახსოვდეთ თქვენ ბ. მურზაყან, რომ ჩემს ბინაზე საცემრათ მომივარდით.

**მურზაყანი.** (შიაწვეს; ნესტორი არ უშეგებს) სულ კბილებს დაგამტვრევ შე ვირო შენა. არა, როგორ გაბედე, ვინ არის საქვეყნო, ვინა, სთქვი, თორემ მოვიდა შენი აღსასრული!

**პეტრე.** (უკან დაისხევს კარებისაკენ) თქვენ პასუხს მოგთხოვთ ამ ავაზაკური თავდაცემისათვის.

**მურზაყანი.** (ნესტორს ხელს ჰკრავს და თავს გაიშეებს, ხანჯალს ამოიღებს და გაჰკიდებს ჰეტრეს. პეტრე სწრაფათ გაგარდებს გარეთ) რაო, რაო, რა სთქვი! ლუკმა-ლუკმა დაგჩეხავ, შე სალახანავ შენა!

IX

ნესტორი, შემდეგ ეფროსინე.

**ნესტორი.** ფუ, დასწყევლოს ღმერთმა! რა უნდათ ამ საწყალი პეტრესაგან! წავიდე მივეშველო, თორემ ცუდათაა საქმე. ვეუბნებოდი ხალხს გადაიმტვრებ მეთქი, მაგრამ რომ არ დამიჯერა. ნუ თუ ვილაცა პეტრეზე ვაჭრის და გაბრწინლ-გათახსირებულ ეფროსინე მაქანკლის გულისათვის ამ დღეში უნდა ჩავარდეს. (ქუდს დაისურავს და მიდის. ამ დროს შემოგარდებს ეფროსინე, რომელმაც ნესტორის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა და ძაღვიან გაჯაფრებული მივარდებს ნესტორს. ეფროსინეს ნესტორი ჰგონია პეტრე დევნილად).

**ეფროსინე.** როგორაო, როგორაო, ვინ არის გათახსირებული, შე მაწანწალავ შენა! არა, როგორ გაბედე შენ ჩემი გაზეთში გაწერა! (ეცემა და ქაღვას დაარტყამს, ნესტორი გადაუხტება, ეფროსინე უკან მისდევს და ურტყამს) შე სასიკვდილევ, შე სალახანავ შენა!

**ნესტორი.** რა გინდათ ბ. ჩემგან!

**ეფროსინე.** როგორ თუ რა მინდა! არა, ვის გაუბედე შენ, ვის?

**ნესტორი.** რა გაუბედე, ადამიანო, გამაგებინე, რაშია საქმე!

**ეფროსინე.** ეს ვისი დაჯღაბნია, ვისი შე სასიკვდილევ! (გაზეთს ამოიღებს, დაკლეჯს და თვალებშია შაყრის).

**ნესტორი.** დიდება შენთვის ღმერთო! ჩემთან რა გინდათ, მე თქვენ რა გიყავით! **ეფროსინე.** რა გიყავიო! ამაზედ მეტი რაღა უნდა მიყო, შე მჯღაბნელო შენა! გისწავლია რაღაცა პრასტი-პრუსტი და ქვეყანა შენი გგონია.

**ნესტორი.** ბ. რა ნაგიშავეთ, არ მეტყვიო!

**ეფროსინე.** არა, შე ეშმაკის ფეხო, რომ ჩაგიწერია ეფროსინემ სოფელი დაყვლიფაო, არა შენ რა წაგაყვლიფე, შე სასიკვდილევ შენა!

**ნესტორი.** მე არ დამიწერია, ბატონო.

**ეფროსინე.** (ფეხის ბახსუნით) გაჩუმდი მეთქი.

**ნესტორი.** არ დამიწერია.

**ეფროსინე.** გაჩუმდი, მე პეტრეზემ ყველაფერი მიაშბო.

**ნესტორი.** ტყუილი უთქვამს ბატონო.

**ეფროსინე.** ხმა, კრინტი არ დასძრა, თორემ ზედ შუაზედ გაგიხეთქავ მაგ ქარაფშუტა თავს. შენ გეგონა უფლის ნათლულთანა გქონდა საქმე, მაგრამ ის კი არ იცი, რომ შე გლავნი ტარჯაროზის მონათლული ვარ. ჩემთან ვერაფერს გაჰყიდი. ისე გაგიხდი საქმეს, რომ დაბადებას იწყევლიდე. შენ ალბათ ვერ გცნობ ეფროსინეს.


**ნესტორი.** ბატონო, ჩემთან რა გინდათ!

**ეფროსინე.** ხმა გაიკმინდე მეთქი. მე ვიცი ყველაფერი. წავიდე ეხლა ის ხალხი მოვიყვანო, ვინც შენ გააბიბრე და მაშინ ერთად გაგვისწორდი ყველას. (ქაღვას ურტყამს) სულ დაგაგლეჯავ წვერ-ულვაშს, თვალებს ამოგწიწკნი, სულს ამოგხდი შე მაწანწალავ, შე მშიერო, გაიძვერავ, რაზბონიკო, შე ლოთო, უსინდისო, მაიმუნო შენა, დამაცადე! (მიდის და კარებში შეჩერდება. ერთს მოუღერს ქაღვას და მიდის) უი, შე სასიკვდილევ შენა!

X

ნესტორი, შემდეგ პეტრე.

**ნესტორი.** (ადგლებული) ფუი, დაგწყევლოს ღმერთმა, ეს რა ღვთის რისხვა დედაკაცი ყოფილა! არა, როგორ ტახივით დამეტაკა ეგ ქაჯი ეგა. სულ გამოვრეტიანდი კაცი, მთელი დავთრები დამიბნია მაგ შეჩვენებულმა მაგან. საიდან სადაო, პეტრემ დაუწერა და მე ქოლგა გადამამტვრია თავზე. რა ფეხი მომტყდა, რომ მე დღეს აქ მოველი. ალბათ მოასწავლიდა ვინმე რომ ამ სახლში იმყოფება შენი გაზეთში ჩამწერიო და მომვარდა აღქაჯივით. იმან თავისი გული მოიოხა და პეტრეს მაგივრათ კი გამროზვა. საწყალი პეტრე, კიდევ კარგი რომ ამ შეცდომით ეს ქოლგის ტყაპა-ტყუპი მაინც ავაკდინე. წავიდე მივეხმარო იმ საცოდავს, თორემ



გაჰგლეჯენ. ამ კუდიანმა დედაკაცმა რანდენ ხანს გამაჩერა. ვინ იცის აქამდინ რა მოუვიდა საწყალო პეტრეს! (მადის, კარებში შეკუნებუა პეტრე, ნაწებნი, დადღიჯობით ძლიერ და სუნთქავს).

**პეტრე.** მიშველე ნესტორ, დამძალე სადმე, თორემ მთელი ჯარი მამდევს უკან. პეტრუზა მოუძღვება წინ. იმ მურზაყანმა ხომ მთელი ბაზარი შემომარბენინა და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით დავემაღლე. აქეთ რომ მოვდიოდი მანუჩარი შემხვდა, პეტრუზას ელაპარაკებოდა. როგორც დამინახა თუ არა პეტრუზამ მაშინვე უთხრა მანუჩარს: „აი, კნიაზო, ეგ არის რალა ჩვენი თავის მომჭრელიო“. გამომენტო, მაგრამ რა ნაირადი მერე იმოტელა ჯოხი უჭირავს რომ კამბეჩს წააქცევს. პეტრუზა და მანუჩარი ფეხდაფეხ მომდევდენ. მურზაყანიც გაშმაგებული მეძებს და თუ ისიც მომივარდა კიდევ, ნამდვილათ გამისტუმრებენ საიქიოს.

**ნესტორი.** რა გიჭირს ძმაო, ერთი მტერი ხომ მოგაშორე.

**პეტრე.** როგორ, რომელი მტერი?

**ნესტორი.** შენ რომ მურზაყანი გამოგეკიდა, მეც მაშინვე მინდოდა წამოსვლა, მაგრამ შემომივარდა ის ეფროსინე მაქანკალი, მოესწავლებიათ შენი ბინა, და მომვარდა. იმას მე ვეგონე კორეს-პონდენტი და იმდენი მიბრაზუნა, რომ სულ ფილტვები ამომავლიჯა. ქოლგა გადამამტვრია, ძმაო, თავზე ქოლგა. ისე გამათახა რომ მთელი ოკეანეს წყალიც ვედარ გამრეცხავს. დამემუქრა, ვინც შენ გალანძღევი გახეთში, სუყველას მოვიყვანო და მაშინ ერთად გავვისწორდით.

**პეტრე.** (რომელიც გაშტეკებული უყურებდა) მაშ შენც დაისაჯე ჩემის გულისთვის! საწყალო ნესტორ, მაშ, როგორც ამბობ, ის წუნკალი ეფროსინეც იმ საერთო რაზმს შეუერთდება და ერთად მოიტანენ იერიშს. შენ კი რას გერჩიან, მაგრამ მე როგორ გადავურჩე! (ისმის პეტრუზას ხმა: ზაჯაღტე, ვაში სატელსტო, კნიაზ მანუჩარ, ზაჯაღტე).

## XI

პეტრე, ნესტორი, პეტრუზა და მანუჩარი.

**პეტრე.** არიქა მოდიან! მე კუშეტკის ქვეშ შევძვრები და აბა შენ იცი, როგორ დიპლომატობას გამოიჩენ. იქნებ ხიფათს გადამარჩინო. (კუშეტკის ქვეშ ძვრება).

**პეტრუზა.** (კარს შემოადებს) პაჟალტე, პაჟალტე, ვაში სატელსტო.

**მანუჩარი.** (ნესტორს) სად არის ის ვაჟბატონი, სად? (ჯახს ურტყამს ატაკზე).

**ნესტორი.** ვინა გნებავთ, ბ. მანუჩარ?

**მანუჩარი.** ვინა და ის მშიერი პეტრეა, არა როგორ გაბედა ჩემი შეურაცყოფა!

**პეტრუზა.** ეჰ, ტუტუცია, ვაში სატელსტო, ტუტუცი. იმან რა იცის, ვის რა ეკადრება და რა პატივისცემა უნდა. განა თქვენისთანა ჩენი კნიაზს აწყენინებს კაცი!

**მანუჩარი.** მაწყენინა და დამაცადოს! (ჯახს ახახუნებს ატაკზე) არა, იმას მე ვინმე სალახანა ხომ არა ვგონივარ, არა, როგორ გამიბედა მე ვილაც ლაწირაკმა ასეთი თავხედობა!

**ნესტორი.** რაშია საქმე, ბ. მანუჩარ, ვინ გაწყენიათ?

**მანუჩარი.** ვინა და იმ ბუნტოვჩიკმა პეტრემ. არა, რა იმისი საქმეა რომ მე ბუასილი მჭირს თუ ქარები არა, როგორ გამიბედა მეთქი!

**ნესტორი.** ნუ თუ პეტრემ ეგ იკადრა!

**პეტრუზა.** იკარდა რომელია, კვდარი ვირი რომ ნახოს, ნალებს ააძრობს. ჯიბიდან ფულს ამოგაცლის, ნამდვილი ჯიბგირია, უფლის მადლმა. ძალიან გასაროზგი კი არის აი ქრისტეს მადლმა, არა, როგორ გაგიბედათ გალანძღვა, ვაში სატელსტო!

**მანუჩარი.** ოხ, ერთი ჩამივარდებოდეს ხელში. როგორ მოვეთლავ, როგორ დავხელავ. მე ვაჩვენებ მაშინ ვინ არის ქარებიანი და ბუასილიანი. (ნესტორს) არა ერთი თქვენ მითხარით, რა მისი საქმეა მე ქარები მაქვს თუ ბუასილი! იქნება მე უარესიცა მჭირს რამე. იქნება თქვენ კიდევ ჩემზედ უარესი გჭირთ.

**ნესტორი.** ღმერთმა დამიფაროს, კნიაზო, რას მერჩით!

**მანუჩარი.** არა, მე ისე სიტყვაზე ვამბობ, ხომ მართალია?

**პეტრუზა.** რაზუმეიტსა რომ მართალია. (მეფა და კუშეტკაზე დაჯდება) ახლა კნიაზ, ჩემზე რა დაუწერია. ჩიხოტკიანიაო, მალარია აქვსო, ცოლი გაქცევას უპირებსო. ერთი სიტყვით, ვაში სატელსტო, თავი მომჭრა საქვეყნოთ რადა!

**მანუჩარი.** ჰა, უყურეთ მეფე არამზადას მეფას! არა რა მაგისი საქმეა, მე ცოლი გამეყრება თუ შემეყრება. (ჯახს ურტყამს ატაკზე) სულ კბილები უნდა დაამტვრიო მე მაშენიკს მეფას.

**პეტრუზა.** მართლა, კნიაზ, კბილები გაფუქებული აქვს და მადლს უზამთ თუ დაუბლომბავთ. (იღანის).

ლენას ის განიცდიდა? კორიკანა ხალხს რომ დაუ-  
ჯეროთ, ბესოს წარსული მეტათ პროზაიკულია.  
ის სახელოსნო სასწავლებელში იზრდებოდა, სადაც  
ხარაზობა შეისწავლა, მარა რადგანაც კარგი ხარა-  
ზი ვერ გამოვიდა, კერძო ვექილობა დაიწყო. მტ-  
კნარი სიცრუეა ეს ყველაფერი; ბესო დაბადების  
დღესაც ის ბესო იყო, რაც დღეს არის: თმა ხუ-  
ჭუჭა ოქროს სათვალეებიანი კერძო ვექილი. მას  
აქეთ მას არც სიგრძე მომატებია და არც სიგანე,  
ის აღზრდის გარეშე დგას.

ნათლობის დღეს თურმე ბესო ნათლიამ და-  
ლოცა: დოვლათიანი იყავიო. აგიხდეთ ყოველი სი-  
კეთე, ეს ლოცვა მას აუხდა. ჭამა რა არის, ჭამა,  
მაგრამ აქაც კი თავს იჩენს მისი დამახასიათებელი  
ხელბარაქიანობა და დოვლათიანობა. უშველებელ  
ხარის ბექს, რომლის გადაბიჯება კი ვაჟკაცს გაუ-  
ჭირდება, ბესო ათ წამში იმორჩილებს და გზავნის  
მოუკუპრავში ახალი ენერჯის შესაძენათ. ამ მხრით  
ბესოს პირველი ადგილი უჭირავს სამტრედიის  
მცოხნელ-მოღვაწეთა შორის.

გადავიდეთ უმთავრეს საკითხზე—ბესოს მო-  
ღვაწეობაზე. მეტად მრავალ-მხრივია იგი. ბესო წე-  
ვრია წერაკითხვის საზოგადოების, კლუბის, ვაჭრე-  
ბის ბანკის და გლეხთა კოოპერატივის. მეტი დაწე-  
სებულება სამტრედიას არ მოეპოვება, თვარა ბესოს  
ვინ მოასწრებს იქ შესვლას. მარა წევრიც არის  
და წევრიც წარმოიდგინე. რომბესო მეტათ გულ-  
მოდგინე წევრია აქაც დოვლათიანი და ბარაქიანია,  
საზოგადო კრებას არ დააკლდება, ის კი არა, და-  
ნიშნულ დროზე ერთი საათითადრე მიდის; წესდე-  
ბა მუდამ ხელში უჭირავს და მის მუხლებს სენა-  
ტისებურათ მარტავს. თითო კრებაზე ოთხჯერ მაი-  
ნც უნდა ილაპარაკებს და ყოველ სიტყვას ძველი  
რომაელივით ერთი დასკვნით ათავებს: კართაგენი  
უნდა დაიბრუნეს, ესე იგი, ეს საზოგადოება უნდა  
დაიხუროს.

ესთქვათ, წერაკითხვის საზოგადოების კრებას,  
სადაც ირკვევა, რომ საქმე ვერ არის სასურველ  
ნიადაგზე დაყენებული, წევრები გულცივობას იჩე-  
ნენ, გამგეობა უუნარობას, ფული ცოტა შემოდის  
და სხვ. ორატორები აქედან რაღაც ახირებულ  
დასკვნას აკეთებენ: რაკი საქმე ვერ მიდის, საქირთა,  
აუცილებლათ საქირთა, მოვსპოთ საზოგადოება, გა-  
ვაუქმოთ აგი, ვიდრე გვიანი არ არის; ჩვენ ვეცა-  
დოთ ამას და გამმარჯვე ღმერთთაო. და რომ ეს  
საქირთა, ბესო იმოწმებს ტავანცევს, შერშენვეიჩს

და მის უებარ სენატის განმარტებებს. თქვენ ნახეთ  
ბესოს თავგანწირულება: ერთი კაცი არ ემხრობა  
მას და ის მაინც ცდილობს, მარტოთ მარტო ცდი-  
ლობს გააუქმოს საზოგადოება.

ერთ შემთხვევაში კინალამ მიადწია თავის  
მიზანს. კრებამ მიიღო მისი წინადადება კლუბის  
დახურვის შესახებ. კლუბის მოძრავი ქონების შე-  
ნახვა კი თითონ იკისრა (ცოტა გაუფებარი კი იყო,  
ვიღას უნახავდა ამ ქონებას). გაჩნდა საიდგანლაც  
ისიღორე სტურტა და გაუქმებული კლუბი ისევ  
აღადგინა, არ დაუჯერა ბესოს და ეს ცოცხალ  
შკვლარი დაწესებულება დღესაც სცოცხლობს.


კოოპერატივის კრებაზე ორი საათი ამტკიცა  
შემდეგი თავისი წინადადება: რაკი გამგეობის 9 წე-  
ვრიდან ერთი კრებებს ვერ ესწრებოდა, მთელი  
გამგეობა დავაპანდუროთო. კი მთქმელს კი გამგო-  
ნე უნდაო—ბესოს სრულიათ არავინ უგონებს და  
ამაშია მისი ტრადედია. მარა მუდამ მხნე ბესო არა-  
სოდეს არა ყრის ფარ-ხმალს. სულმოკლეობა სრუ-  
ლიად არ სჩვევია მას.

ამასწინათ ვაჭართა ბანკის კრება იყო. ირჩე-  
ოდა კითხვა მოსამსახურეთა ერთდროული დახმა-  
რების შესახებ. ბესომ კრების გადადება მოსთხოვა  
ექვსი თვით. რა თქმა უნდა, ეს წინადადება რადი-  
კალურათ სჭრიდა საკითხს, მარა ვინ იყო ვამგონი.  
რაკი შევეკრიბეთ, ბარემ გადავწყვიტოთ, ან მივცეთ  
დახმარება და ან ნუ მივსცემთო. დამარცხდა ბესო  
და შეიქნა სჯა—მოუმატოთ თუ არა და თუ მოუ-  
მატოთ რამდენიო. ბესოს არგუმენტაცია ასეთი  
იყო—თქვენ ამბობთ, ცხოვრება გაძვირდა და მო-  
სამსახურეებს დავებმაროთო. რა უყოთ რომ გაძვი-  
რდა, ჩვენ ხომ არ გაგვიძვირებია, და თუ გაძვირდა  
ჩვენთვისაც ხომ გაძვირდა. უჭირთ მოსამსახურეებს  
ცხოვრება, რა უყოთ, რომ უჭირთ. მაკლაკოვი  
ორას ათასს იღებს თითო გამოსვლაზე და მე ხუთ  
მანეთზე მეტს არავინ წამომიგლებს მარა მაინც კმა-  
ყოფილი ვარ ბედით. ყველას გახსოვს მე რომ სამ-  
ტრედიაში ქუჩა-ქუჩა ბულკებს ვატარებდი გასაყი-  
დათ, რომ დამჭირდეს, თოხსაც კარგათ მოვკიდებ  
ხელს. კაცი ასეთი უნდა იყო, ყოველ გაქვივრებას  
უნდა გაუძლო.

ეს რეჩი ბესომ რამდენჯერმე გაიმეორა და შე-  
დეგი ისეთი მიიღო, რომ თავს არ უჯერიდა: კრე-  
ბის ნახევარი მას მიემხრო. ვინ ბესო და ვინ ასე-  
თი გამარჯვება. მარა დახეთ უბედურობას! თურმე  
მარცხი აქ უდარაჯებდა ბესოს. უყარეს საკითხს კე-

ნჭი და დამარცხდა ბესო მისი შავი ყორნებით. ბესომ პალტო გაიხადა და მოითხოვა, ხელმეორეთ უყარეთ კენჭიო. კენჭის ყრა ფარული იყო, ბესო კი მდივანი იყო კრებისა და ვინ გაბედავდა ურჩობას. დამარცხდა მეორეთ. უყარეთ მესამეთო. დამარცხდა მესამეთ და მაშინ კი დაკარგა ბესომ ყოველივე იმედი და გაჯავრებული შეუერთდა მათ, ვინც ყველაზე მეტ მომატებას ითხოვდა. ბესოს დაუჯერეს მისმა ყორნებმაც და კითხვა ერთხმათ გადაწყდა მოსამსახურეთა სასარგებლოთ. არ გასულა ამის შემდეგ ოცდაათი საათი რომ ბესომ გააშანშალასა-ჩივარი და შეიტანა ბანკში. არ გაბედოთ გუშინდელი ერთსულოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მე მინისტრთან ვაპირებ ჩივილს და დაუცადეთ იმის პასუხსო. იწყება მქუხარე საქმე. ბესო დასწერს მინისტრთან საჩივარს, მინისტრი წაიკითხავს ბესოს საჩივარს და უეჭველათ გამოგზავნის ბანკში რევიზორს. რევიზორი პირველ ყოვლისა იკითხავს: ვინ იყო კრების თავმჯდომარე? ესა და ეს. ვინ იყო მისი მდივანი? თითონ ბესო. რითია უკანონო კრება? მისი გადაწყვეტილებით. ბესოს წინადადება რო გასულიყო? მაშინ კანონიერი იქნებოდა. რევიზორი კატორღაში გაგზავნის საბჭოს და გამგეობას, რომელთაც ტყუილ-უბრალოთ მოიწვიეს კრება, და არ შეეკითხნენ ბესოს, რომელიც თვით განგებით არის დანიშნული ბანკის კანონმდებლათ. ბანკის შემდეგი ზედიც ბესოს მიენდობა რომელიც დაუყონებლივ მოახდენს ბანკის ლიკვიდაციას. ამას შემდეგ კი შეუდგება „მათრახის“ თანამშრომელთა გასამართლებას, და როცა იმათაც კატორღაში გაგზავნის, მისი სამოღვაწეო მისიაც შესრულებული იქნება.

ღარაჯი



### გაუგებრობა

სწორედ რომ ბედი დაგვიცინის ქართველებს, აი მივიღეთ „თეატრი და ცხოვრების“ მე-45 ნომერი, რომელშიაც ბ-ნი არიმათიელი (ანუ მარჩიელი) მწარეთ დასტირის ქოლა ლომთათიძის უდროვოდ დაკარგვას რომელიც დაიბადა 1881 წ. მივიღეთ მე-46 ნომერი რომელშიაც ის მწარეთ

მოსთქვამს ქოლა ლომთათიძის დაკარგვას, რომელიც დაიბადა 1879 წელს. აი კიდევ ლომის მიწოდეთ სურათები ქოლა ლომთათიძის, რომელიც დაიბადა 1878 წელს. სამივე ქოლები არიმათიელის ცნობით გარდაიცვალენ 4 ნოემბერს 1915 წ. სწორეთ რომ გასაკვირალია, რაღა სმივე ქოლა ერთ დღეს გარდაიცვალენ, სამივე საატოვის თავშესაფარში, სამივეს ზედ-მეტი სახელი (ბიკენტი) ეთქვა, სამივეს მამას ბონ, სამივე დეპუტატი და პუბლიცისტი იყვენ. არა აქ ჩვენ რაღაც ეჭვი გვებადება. უმოარჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ რაშია საქმე?

ამხანაგობის მოწოდებით  
შ. აღამიძე.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა „განათლებლის“ მიერ გამოცემული 1916 წლის.

## კედლის კალენდარი

კალენდარი დასურათბატებული იქნება მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვეთა ეხლავე შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 96. С. Р. Та-варткиладзе.

### ქართული სახალხო იაფ-ფასიანი წარმოღვენა.

### ესიკოვსკის ცირკი-რეკორდში

(ვერის დაღმართზე) ორშაბათს, 30 ნოემბერს ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სოფოკოვს დიდებული ტრადელია ანტიური ცხოვრებიდან

## ოილიპოს მეფე

ნათარგმ. ბ-ნი კ. ანდრონიას. (პიესა წარმოდგენილი იქნება სახელოვან რეჟისორის რეინგარდტის იდეით)

**დამსწრეთა საუბრადლებოთ:** თეატრის ადმინისტრაცია სთხოვს წარმოდგენის დამსწრეთ დაწყებამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგან წარმოდგენის დაწყების შემდეგ დარბაზში არავას შეუშვებენ.

**მონაწილეობას მთელი დასი.** წარმოდგენის დასაწყისი საღ. 9 სათ. ადგილების ფასი 15 კ. 1 მდე. შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს, 9 დეკემბერს. რეჟისორი ანდრონიკაშვილი.



ბაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელუბას — მიირთვით

# უპირისპირი

მოითხოვთ ყველგან!

დავით

ხილველ-მადნეულის სამკურნალო



ქართული ლიტერატურა

\* \* \*  
 ლაღიძის ლიმონათები ყველაზედ უკეთესია, იგი რომ კაცმა დალიოს მართლაც რიგი და წესია:

ანკარა არის ბროლივით, წინდაწინ მოხარშულია, სურნელება აქვს ისეთი დაგიამდება გულია.

არც თავს ავატკენს, არც მუცელს, რძესავეით შესარგისია, ვინც იმას ხშირად მიირთმევს ტკბილი ქეიფიც მისია...

ლაღიძის ლიმონათები ყველა სასმელებს სჯობია, სხვები-კი — შაქარ-წყალი და კიდევ დასაგმობია.



# ვკონებ ეშმაკიც ველარას გაწურობს.



ზლინტ

კინჯ. ქარო. აშხ

ეშმაკი. ხალხნო, ადამიანებმა ვერ შესძლეს თქვენი მორიგება, იქნებ მე მაინც გავახერხო რაშე.



კ. კ. ა.

თბილი

სპ. კელია.

გამოვიდა ბ. ეშმაკის მიერ შედგენილი და კანტორა „განათლების“ გამოცემა

## ბლკანეთის ქარტა

ფასი ერთი აბაზი. პროვინციის აგენტებს დაეთმობა 15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრსით: Тифლისь, Ольгинская 6. С. Таварткиладзе.